დღეს ნოკაუტია

იხ. მე-2 გვ.

ლანინაურდა ნ. გაფრინდაშვილი

ბელგრადი, 23 მარტი. 8 მარტისადმი მიძღვნილ, აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში დაწინაურდა მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, რომელმაც გადადებული პარტიების დამთავრებისას 54-ე სვლაზე სძლია უნგრელ მ. ივანკას (XI ტურში ნონამ მე-19 სვლაზე მოუგო ჰოლანდიელ ლ. ტიმერს). ახლა გაფრინდაშვილს 8 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს.

II ადგილზეა მოსკოველი ა. კუშნირი — 7,5 ქულა და 3 გადადებული პარტია (XI ტურში კუშნირმა 42-ე სვლაზე დაამარცხა ბულგარელი ე. ტროიანსკა).

7,5-7,5 ქულა აქვთ კ. იოვანოვიჩსა (იუგოსლავია) და ი. მალიპეტროვას (ჩეხოსლოვაკია), მაგრამ მასპინძელს მარაგში 2 შეხვედრა დარჩა დასამთავრებელი, სტუმარს კი არც ერთი.

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი)...

იხ. მე-3 გვ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№58 (4052) 24 1970 წ. მარტი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

სსრ.კ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

რეკორდები

სვერდლოვსკი, 22 მარტი. ხელოვნურ საციგურაოზე რსფსრ-სა და ფინეთის მოციგურავეთა ტრადიციულ სამატჩო შეხვედრაში სსრ კავშირის რეკორდსმენმა, 23 წლის ვ. მურატოვმა 500 მ 39,1 წამში გაირბინა. ეს შედეგი შვედი სპრინტერის ჰ. ბიორესის მსოფლიო რეკორდზე (39,14) უმჯობესია, რომელიც დაბლობ საციგურაოებზეა ნაჩვენები. პირველი დღის შემდეგ დაწინაურდნენ მასპინძლები — 90:60.

ფეხბურთელთა ყველა საპრიზო ადგილი — თბილისელებს

გასულ შაბათს თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა რესპუბლიკური პირველობა ხელბურთში. შეჯიბრებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ დედაქალაქის ხელბურთელები მთელი თავით მაღლა დგანან საქართველოს სხვა ცენტრების სპორტსმენებზე: როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ფინალურ ოთხეულებში თბილისის ყველა გუნდი შევიდა. მათთან ერთად საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდნენ ცხინვალის ქალთა (მწვრთნელი ი. ოდგავი) და რუსთავის ვაჟთა (მ. ქავთარაძე) კოლექტივები. ამ უკანასკნელებმა IV ადგილები დაიკავეს.

საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ქალები. 1. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (მწვრთნელი გ. მაჭავარიანი) — 6 ქულა, 2. პედინსტიტუტი (ა. ბათმანოვი) — 3, 3. განათლების განყოფილება (ვ. არაქელოვი) — 3; ვაჟები. 1. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თ. ანთაძე) — 5, 2. განათლების განყოფილება (გ. მაჭავარიანი) — 4, 3. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (გ. ხუხუნაიშვილი) — 2.

ხელბურთის ვეტერანი, სპორტის ოსტატი გ. მაჭავარიანი ამჯერად ორი გუნდის მწვრთნელის როლში წარმოგვიდგა. ახალგაზრდა აღმზრდელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან საუცხოოდ მოამზადა გუნდები: ერთმა ჩემპიონობა მოიპოვა, მეორემ კი II ადგილი დაიკავა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდში გამოირჩეოდნენ ვ. ჯოლია, ნ. ჭოჭუა, ა. ბელოუსოვა, ვ. ივანოვა, ხოლო განათლების განყოფილების ვაჟთა კოლექტივში — ვ. ბერიაშვილი, ჯ. ბარამიძე, ზ. კეკელიძე, თ. კორძახია, გ. სუბიშვილი. ვფიქრობთ, მომავალში სწორედ ეს მოთამაშეები შეინაცვლებიან ჩვენი რესპუბლიკის იმ გუნდების წევრებს, რომლებიც ახლა სსრ კავშირის „ა" კლასის კოლექტივების შეჯიბრებებში იცავენ საქართველოს ღირსებას.

დანარჩენ მონაწილეთაგან ყურადღება მიიპყრეს: ქალებმა — ო. გოგსაძემ, ნ. არაბოვამ, ლ. პერეიასლავცევამ (განათლების განყოფილება), მ. თვალჭრელიძემ და ჯ. კასიანმა (პედინსტიტუტი); ვაჟებმა—ვ. ჭყონიამ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ბ. ბერიძემ (რუსთავი) და ლ. მუშტარაულმა (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი).

ვაჟთა ოსტატობა უკვე უახლოდება იმ დონეს, როცა შეიძლება ზოგიერთი მათგანი „ა" კლასის გუნდებშიც გამოდიოდეს. სამაგიეროდ, ჩვენი ხელბურთელი ქალების თამაში ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამოუვარდება საკავშირო მასშტაბის ევრეთ წოდებულ საშუალო დონეს. დაოსტატება მარტო ვარჯიშით და ორიოდე შეჯიბრებაში მონაწილეობით არ მოხერხდება. უკვე დადგა დრო, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქალთა გუნდები სწირად გამოვიდნენ საქალაქთაშორისო და საკავშირო ტურნირებში, ძლიერ გუნდებთან თამაშით შეიძინონ გამოცდილება. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ხელბურთი სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადის პროგრამაშია შეტანილი.

გთავაზობთ რესპუბლიკური ჩემპიონატის ორი უკანასკნელი ტურის მატჩების შედეგებს:

ქალები. I-IV ადგილებისთვის მებრძოლთა ჯგუფი. სპი — ცხინვალი 13:3 (6:1), განათლების განყოფილება — ცხინვალი 16:13 (9:8), სპი—პედინსტიტუტი 13:10 (7:3), პედინსტიტუტი — განათლების განყოფილება 14:14 (7:6); V-VIII ადგილები. აჭარა — ქუთაისი 10:7 (3:2), რუსთავი — ქუთაისი 8:8 (3:4), აფხაზეთი — აჭარა 11:10 (9:5), აფხაზეთი — რუსთავი 12:7 (5:1). V-VIII ადგილები ასე განაწილდა: 5. აფხაზეთი, 6. რუსთავი, 7. აჭარა, 8. ქუთაისი.

ვაჟები: I-IV ადგილები. განათლების განყოფილება — რუსთავი 23:21 (13:12), სპი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 22:20 (12:10), სპი — რუსთავი 18:18 (8:10), განათლების განყოფილება — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 22:14 (14:11); V-VIII ადგილები. ფოთი —აჭარა 19:9 (7:3), აჭარა — ქუთაისი 21:16 (9:5), ფოთი — აფხაზეთი 14:14 (8:5), აფხაზეთი — ქუთაისი 24:23 (11:11). V-VIII ადგილები ასე განაწილდა: 5. აჭარა, 6. ფოთი, 7. აფხაზეთი, 8. ქუთაისი.

გ. ირინაული.

• • •

სურათებზე: საქართველოს წლევანდელი ჩემპიონები — მარცხნივ ქალთა გუნდი. პირველ რიგში (მარცხნიდან)—ე. მერაბიშვილი, ა. კრასინა, ვ. ჯოლია, გ. ლაზარევა, ნ. ჭოჭუა; მეორე რიგში — მწვრთნელი გ. მაჭავარიანი, ნ. ლეშჩოვა, ლ. სოლომახინა, ე. მიქაძე, ვ. ივანოვა, ა. ბელოუსოვა, მ. კუპრეიშვილი; მარჯვნივ — ვაჟთა გუნდი. პირველ რიგში (მარცხნიდან) — ი. პუგაჩი, რ. ქოიავა, ო. ვარდიაშვილი, ნ. მამაცაშვილი, თ. მაცუკაშვილი, გ. ნარიმანიძე; მეორე რიგში — გ. ტრაპაიძე, ჯ. ტვილდიანი, დ. ამაშუკელი, ვ. ჭყონია, მწვრთნელი თ. ანთაძე.

ფოტო გ. ახალაძისა.

სსრ კავშირის პირველობა



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 მარტისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (თბილისი)	2	2	0	0	5—1	4
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	2	1	1	0	3—1	3
„არარატი" (ერევანი)	2	1	1	0	2—1	3
„ნეფთჩი" (ბაკო)	1	1	0	0	4—0	2
ცსკა	1	1	0	0	2—0	2
„სპარტაკი" (მოსკოვი)	2	0	2	0	2—2	2
„დინამო" (კიევი)	2	1	0	1	2—2	2
„შახთიორი" (ტაშკენტი)	2	0	2	0	1—1	2
ასკ (როსტოვი)	2	1	0	1	1—1	2
„დინამო" (მინსკი)	1	0	1	0	1—1	1
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	1	0	1	0	0—0	1
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	2	0	1	1	2—3	1
„ტორპედო" (ქუთაისი)	2	0	1	1	1—2	1
„შახტიორი" (დონეცკი)	2	0	1	1	1—3	1
„ზენიტი" (ლენინგრადი)	2	0	1	1	2—6	1
„ტორპედო" (მოსკოვი)	2	0	0	2	0—5	0
„დინამო" (მოსკოვი)	0	0	0	0	0—0	0

ცვლილებანი კალენდარში

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი ეს-ესაა დაიწყო, მაგრამ უკვე ცვლილებებია მის კალენდარში.

მოსკოვის „დინამო", რომელიც ავსტრალიასა და ინდონეზიაში იმყოფებოდა, შინ გვიან დაბრუნდა ამიტომ მისი მატჩი ოდესის „ჩერნომორეცთან" გადატანილია 6 მაისისთვის და ალბათ სიმფეროპოლში შედგება.

დონეცკის „შახტიორის" შეხვედრა მოსკოვის „დინამოსთან" 27 მარტს ჯაიმართება სოჭში.



◆ სან-პაულუ, 23 მარტი. ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ ანგარიშით 5:0 დაამარცხა ჩილის ეროვნული გუნდი. ჩილეელებმა ძალიან უნიათოდ და უბასიათოდ ითამაშეს.

◆ ალჟირი, 23 მარტი. ალჟირის ტრადიციული, რიგით მეხუთე, ველოტური პოლონეთის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა — 65:40.37, პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ა. პეშელმა (გდრ), რომელმაც 1936-კილომეტრიანი მანძილი 20 საათში, 41 წუთსა და 5 წამში დაფარა. შეჯიბრებაში 11 ქვეყნის 112 ველოსიპედისტი ასპარეზობდა, მომავალი მშვიდობის ველორბოლის მონაწილე თითქმის ყველა გუნდი. II ადგილი დაიკავა გდრ-ის ნაკრებმა (65.43.20), III — იუგოსლავიის (65:52.53), IV — ბელგიის კოლექტივმა (65.55.12).

◆ კოპენჰაგენი, 23 მარტი. „ლაიპციგის" ხელბურთელმა ქალებმა აქ ანგარიშით 15:13 სძლიეს „კოპენჰაგენს" და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ, სადაც კიევის „სპარტაკს" შეხვდებიან.

◆ ვარშავა, 23 მარტი. ფრენბურთში პოლონეთის ჩემპიონები გახდნენ: ქალებში — კრაკოვის „ვისლა", ვაჟებში — ადგილობრივი „აზს.

კარგი პრემიერა

უკვე ვწერდით, რომ რუსთაველი მოტოკროსმენთა საკავშირო შეჯიბრება ქვეყნის ჩემპიონატის გენერალური რეპეტიცია იყო, პრემიერა კი ერთი კვირის შემდეგ თბილისში, დელისის მიდამოებში უნდა შემდგარიყო.

ოქროს მაძიებელნი საქმეს თავიდანვე გულისხმიერად მოეკიდნენ: სარბიელთან შეგუების მიზნით ფარდის ახდამდე რამდენიმეჯერ ივარჯიშეს და გუშინწინ ათასობით თბილისელის წინაშე პირველ ეტაპზე ისპარეზეს.

პრემიერამ შესანიშნავად ჩაიარა. დისაფის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მაყურებლებსა და სპორტსმენებს ყველა პირობა შეუქმნა: 2200-მეტრიან რთულ ტრასაზე ყველაფერი ხელისგულივით მოჩანდა; სასტარტო ოქმები, წინასწარი ცდების შედეგები და მოტოროსის მოყვარულებისთვის საინტერესო სხვა ცნობები ინფორმაციის დაფაზე სტარტამდე კარგა ხნით ადრე გამოაკრეს. მსურველი აქ შეიტყობდა მონაწილეთა სასტარტო ნომრებს, შეჯიბრების რეგლამენტს, და იმასაც, იმღლევანდელი საწვრთნელი ცდით წრე ვინ რა დროში შემოიარა. სწორედ ამ მონაცემებით გავიგეთ, რომ „250-ანებიდან“ წრე ლვოველმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. კავინოვმა 2 წუთსა და 12 წამში დაფარა. ეს ის კავინოვია, რომელმაც რუსთაველი ყველას აჯობა.

„500-ანების“ საწვრთნელი ცდა კავინოვის თანაგუნდელს, სპორტის ოსტატ ა. კიბირინს მოეგო — 2.15. ერთი სიტყვით, ფარდის ახდის წინ ლვოველებს მორალური უპირატესობა ჰქონდათ და მეტოქეებს მათი შედეგების გათვალისწინებით უნდა ებრძოლათ. ამას გარდა, მათ თვალი არ უნდა მოეშორებინათ კავინოვისა და კიბირინისთვის, რათა ლვოველები ხელიდან არ დასხლტომოდათ და მთავარი როლები არ დაესაკუთრებინათ.

... საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეთ მოესალმა დისაფის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. აბულაძე. პირველობის გახსნის ალაში შარშანდელმა ჩემპიონებმა — კიეველმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებმა ლ. შინკარენკომ და ვ. პოგრებნიაკმა აღმართეს.

ვიდრე მოტოსპექტაკლის რეპორტაჟს დავიწყებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელოვანთა შორის იყვნენ ქვეყნის ორავალგზის ჩემპიონები, მსოფლიოს ეჭს-ჩემპიონი, ადრე სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. არბეკოვი (მოსკოვი) და მსოფლიო პირველობის პრიზიორი გ. დრაუსი (რიგა), რომლებსაც მოტოსპორტის საკავშირო ფედერაციამ სპორტსმენისთვის შეუფერებელი საქციელისთვის ყველა პატივი აიკრძალა და ორ წელიწადს შეჯიბრებებში გამოსვლა აუკრძალა. მათ მხოლოდ წლეულს დართეს სარბიელზე გამოსვლის ნება და უკვე ორივემ მოიპოვა სპორტის ოსტატობის კანდიდატის სახელი.

ამრიგად, ორავალ ბრძოლაში გამოცდილმა ამ დუეტმა თბილისში თავიდან დაიწყო გზა დიდების მწვერვალისკენ. მართალია, ეტაპზე გამარჯვება არც ერთს არ უზეიმია (ეს ხანგრძლივი იძულებითი შესვენების ნაყოფია), მაგრამ ორივე ყველა ცდაზე ლიდერთა ჯგუფში იყო.

„250-ანებსაც“ და „500-ანებსაც“ 2-2 ცდის უფლება ეძლეოდათ. ყოველ ცდაზე საკონტროლო დრო 35 წუთი იყო. რეგლამენტის ამოწურვის შემდეგ ლიდერს კიდევ 2 წრე უნდა შემოეკლო და, როგორც კი მეწინავე რბოლას დაამთავრებდა, ყველა ფარეხისკენ მიეშურებოდა.

ბრძოლაში პირველად „250-ანები“ ჩაებნენ. სტარტზე გამოვიდა 42 სპორტსმენი, რომელთა შორის მხოლოდ კალინინგრადელი ვ. პოპენკო იყო პირველთანრიგოსანი. სხვებს უფრო მაღალი კვალიფიკაცია ჰქონდათ (მათ შორის 3 საერთაშორისო კლასის ოსტატი იყო). სტარტი იმდენად თავბრუდამხვევი გამოდგა, სპორტსმენები ისე დიდ ჯგუფად მიდიოდნენ, რომ 1500 მეტრის შემდეგ ციცაბო დალმართის ძირში მოსკოველი ოსტატობის კანდიდატი ნ. ზიბინი წაიქცა და ბრძოლა შეწყვიტა. რბოლის სათავეში მოექცა ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ვ. მოისეევი. მას კვალში მიჰყვებოდნენ არბეკოვი, შინკარენკო, სპორტის ოსტატები ს. ჟოლკოვი (ტაგანროგი), ა. დოლინენკინი (ლენინგრადი), კავინოვი, ა. მანდრიჩენკო (კიშინიოვი), თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ს. მელიქსეტიანი.

მეხუთე წრეზე მოისეევი შინკარენკოს უკვე 250 მეტრს უგებდა, სამაგიეროდ, შინკარენკო არბეკოვს 150 მეტრით უსწრებდა. მელიქსეტიანმა X ადგილზე გადმოინაცვლა. ახლა ლიდერების ჩამორჩენა მხოლოდ მათივე გაუფრთხილებლობას ან მოტოციკლის დაზიანებას შეეძლო გამოეწვია. მოისეევი ორივე საფრთხეს გადაურჩა. სამაგიეროდ, შინკარენკოს მეცამეტე წრეზე მანქანამ უმტყუნა და მას კავინოვმა გაუსწრო (ამ უკანასკნელმა მანამდე არბეკოვსაც აუარა გვერდი). ცდა მოისეევმა მოიგო. მეორე იყო კავინოვი, მესამე — შინკარენკო, მეოთხე — არბეკოვი.

„500-ანების“ პირველი ცდა. ლიდერთა ვინაობა მეორე წრეზე გაირკვა. ისინი ამ თანმიმდევრობით მიდიოდნენ: სპორტის ოსტატები ა. კლიავინში (რიგა), ვ. ოვჩინიკოვი (კიშინიოვი), ი. მატვეევი (სერპუხოვი), პოგრებნიაკი, სპორტის ოსტატები კიბირინი, ვ. კრასნოშჩოკოვი (კოვროვოვ), გ. ბეგიაშვილი (თბილისი), ა. შერკშნასი (ლვაიპედა), მ. როსტოვცევი (ლენინგრადი) და ა. კლდიაშვილი (თბილისი).

მასპინძლებს ცუდი მდგომარეობა როდი ჰქონდათ: ბეგიაშვილი მეშვიდე იყო, კლდიაშვილი — მეათე. მეოთხე წრეზე კლდიაშვილმა შერკშნასს გააესწრო. ხუთიოდე წრის მერე ბეგიაშვილმა ერთი ადგილით წინ წაიწია, თუმცა ამ გადაადგილებამ ყველა ლიდერის შედეგებზე მოახდინა გავლენა, ვინაიდან კლიავინში ერთ-ერთ ციცაბო აღმართზე დაეცა და ჩამორჩა. მაგრამ ცდის ფინიშამდე მისვლა არც ბეგიაშვილს მწყარა — იგი რბოლას გამოეთიშა.

ბოლო წრეზე ლიდერები და აუტსაიდერები ერთმანეთში ისე აირიენენ, მაყურებლებს მდგომარეობაში გარკვეცა გაუჭირდათ. მხოლოდ ცდის დამთავრების შემდეგ გახდა ნათელი, რომ იგი კრასნომჩოკოვს მოეგო. ფარეხში მას ფეხდაფეხ შეჰყვნენ პოგრებნიაკი, ოვჩინიკოვი და კლდიაშვილი. ეს საუკეთესო განაცხადი იყო ერთ-ერთი საპრიზო ადგილის მოპოვებისთვის.

მეორე ცდა. ეტაპზე ადგილებმა გადანაწილებაში გაიარა. ეტაპზე ... „250-ანები“. შინკარენკო სტარტიდანვე დაწინაურდა. კავინოვი მას კვალში ჩაუჯდა. შემდეგ მიდიოდნენ ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ვ. რულიოვი, კოვროველი ოსტატობის კანდიდატი ს. ლევინი, მანდრიჩენკო, ლენინგრადელი ოსტატობის კანდიდატი ა. ბიჩკოვი და შეჯიბრების ლიდერი მოისეევი. როცა ფინიშამდე ორი წრე დარჩა, ცდას ორი ლიდერი ჰყავდა — შინკარენკო და კავინოვი. სხვები იმდენად ჩამორჩნენ, რომ ამ დუეტს ურთიერთობა მხოლოდ ერთმანეთში უნდა გაერკვია. შინკარენკო სწორედ აქ შეცდა — აბეაარი მდევრის თავიდან მოშორება გადაწყვიტა, დალმართსა და ძნელ მოსახვევში მეტი-სმეტად იჩქარა, წონასწორობა დაკარგა და დაეცა. იგი მაშინვე წამოსტა, მაგრამ კავინოვმა ამასობაში 300 მეტრით დაწინაურება მოასწრო და ცდაც მოიგო. ამ უკანასკნელს ორი ცდის ჯამში 3 საჯარიმო ქულა დაუგროვდა და ჩემპიონატის ლიდერი გახდა. შინკარენკოს 5 ქულა და II ადგილი დარჩა. III ადგილზეა მანდრიჩენკო — 8 ქულა.

საინტერესო ამბავი მოხდა „500-ანების“ მეორე ცდის დროს: რიგელი ვ. დონისი, რომელიც რბოლას სათავეში მოექცა, მესამე წრიდან ჩამორჩა, მეცხრე წრეზე მისი ბედი გაიზიარა ა. ანგერსმაც (ვენტსპილსი). ეტაპის ფინიშამდე ხუთიოდე კილომეტრი რომ დარჩა, პოგრებნიაკი და კრასნოშჩოკოვი დაწინაურდნენ. ცდა ჯერ პოგრებნიაკმა დაამთავრა, შემდეგ — კრასნოშჩოკოვმა.

როცა ორი ცდის შედეგები შეჯამდა, კრასნოშჩოკოვსა და პოგრებნიაკს 3-3 საჯარიმო ქულა აღმოაჩნდათ. პირველობა კრასნოშჩოკოვს დარჩა, ვინაიდან პირველ ცდაზე მან პოგრებნიაკს მეტი მანძილითა მოუგო, ვიდრე მეორე ცდაზე პოგრებნიაკმა — კრასნოშჩოკოვს. III ადგილზეა ოვჩინიკოვი — 7 ქულა. კლდიაშვილი 11 ქულით IV ადგილზე აღმოჩნდა.

საპრიზო ადგილებზე გასულებს, აგრეთვე, მასპინძელთაგან საუკეთესო სპორტსმენებს (მელიქსეტიანი და კლდიაშვილი) თბილისის დისაფის პირველადი ორგანიზაციების პრიზები გადაეცათ.

ო. ბელაშვილი.

* * *

სურათზე: „250-ანების“ სტარტი.

ფოტო ბ. ზარგარიანისა.

საინსტრუქციო-მეთოდური მითითებანი

თეორიულ მომზადებაში მწვრთნელ-მასწავლებელთა ატესტაციისთვის

ატესტაციის ჩატარებისა და საკვალიფიკაციო კატეგორიის დადგენის დროს, გარდა ძირითადი მაჩვენებლებისა სპორტსმენ-თანრიგოსანთა, სპორტის ოსტატთა, მსაჯთა და საზოგადოებრივი მწვრთნელების მომზადების მხრივ, უნდა გამოვლინდეს მწვრთნელ-მასწავლებელთა თეორიული ცოდნის დონე და პროფესიული ჩვევებიც. ამ მუშაობაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

II და III კატეგორიების მწვრთნელ-მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ კარგი თეორიული და პრაქტიკული მომზადება სპორტის შესახებ, კარგად უნდა ფლობდნენ ჯგუფური მეცადინეობის ჩატარების თანამედროვე მეთოდიკას, ჰქონდეთ მომეცადინეთა კონტინგენტის სწორად შერჩევისა და შენარჩუნების უნარი, შეეძლოთ ჯგუფური მეცადინეობის კარგად შეხამება ნიჭიერ სპორტსმენებთან ინდივიდუალურ მუშაობასთან, კვალიფიციურად წყვეტდნენ ჯგუფური დაეგმვის საკითხებს, შეეძლოთ მუშაობის შედეგების გავრცობა და გაანალიზება, წარმატებით განახორციელონ აღმზრდელობითი მუშაობა, უზრუნველყონ სასწავლო დოკუმენტაციის სწორი წარმოება.

უმაღლესი და I კატეგორიების მწვრთნელ-მასწავლებლები სრულად უნდა ფლობდნენ თანამედროვე ცოდნას და პედაგოგიურ ოსტატობას, შეეძლოთ დანერგონ მუშაობის პროგრესული მეთოდები, ყოველმხრივ და სრულად შეაფასონ გაწეული შრომა, ჰქონდეთ აუცილებელი ცოდნა და ჩვევები უმაღლესი სპორტული თანრიგების სპორტსმენებთან სასწავლო-საწვრთნელ და აღმზრდელობით მუშაობაში, კარგად იცნობდნენ საბჭოთა და უცხოურ სპეციალურ ლიტერატურას, იცნობდნენ ბიომექანიკას, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის განვითარების თანამედროვე დონეს, გარკვეული იყვნენ მოსაზღვრე მეცნიერებებში: ბიონიკაში, კიბერნეტიკაში, სტატისტიკაში, იურისპრუდენციაში. მუშაობის პროცესში გამოიყენონ კინოგადაღებები, უზრუნველყონ როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური დოკუმენტაციის სწორი წარმოება, მონაწილეობა მიიღონ კვალიფიციურ მწვრთნელ-მასწავლებელთა მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, ან ჰქონდეთ გამოქვეყნებული ნაშრომები, ან ფლობდნენ რამდენიმე მწვრთნელ-მასწავლებლის ერთობლივი მუშაობის ხელმძღვანელობის ორგანიზაციის გამოცდილებას.

ინფორმაციული ბიულეტენი

სოხუმი

ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართულმა დასმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ახალგაზრდა დრამატურგების რ. გაბრიაძისა და გ. ჩარკვიანის კომედია „ფეოლა“. ეს მეორე სპორტული პიესაა, რომელსაც სოხუმში დგამენ.

ნ. მიქაშავიძე.

 სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

ტტტ მაინც პირველია

კაუნასი, 23 მარტი. აქ დამთავრდა კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. ბოლო ორი ტურის მატჩებმა „მეტ-ნაკლები სიხარული მოუტანა თითქმის ყველა გუნდს, მოსკოვის „სერპ ი მოლოტის“, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ტარტუს „უნივერსიტეტის“ გარდა. ამ ტრიომ ფინიშზე ქულა ვერ აიღო და სატურნირო ცხრილში შესაბამისად სამი ბოლო ადგილი გაინაწილა.

პირველი წრის ფინიშის ხაზი ყველაზე ენერგიულად ტტტ-მ გადაკვეთა. საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო ხანებში ამ ერთ დროს უძლეველი კოლექტივის ავტორიტეტი საგრძნობლად შეიერყა. ზედიზედ ორმა წაგებამ და სხვა შეხვედრებშიც არც ისე დამაჯერებელმა გამარჯვებებმა წარმოშვა აზრი, რომ სსრ კავშირის ჩემპიონის მზე ნელნელა ჩაესვენა.

ეს რწმენა თითქოს განამტკიცა ბოლოწინა ტურის მატჩმა კიევის „დინამოსთან“. რიგელებმა, მართალია, მოიგეს ბრძოლა და აქტივში მორიგი ქულა ჩაიწერეს, მაგრამ გამარჯვებას მინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, რადგან ლიდერმა ერთ-ერთ აუტსაიდერი მხოლოდ 4 ქულით დაამარცხა — 61:57.

ბოლო თამაში ტტტ-ს თავის მთავარ მეტოქესთან — მოსკოვის ოლქის „სპარტაკთან“ ჰქონდა. სპარტაკელებს წლეულს პირველად მიეცათ საშანსი უშალოდ ბრძოლაში დაემტკიცებინათ თავიანთი მიზნების რეალურობა. მოუგეს ტტტ-ს და პირველი წრე შენახეს! ეს კი, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უდიდესი მორალური მოკავშირე იქნებოდა ოქროს შედლებისთვის შემდგომ ბრძოლაში. მაგრამ ტტტ-მ, როგორც ჩანს, სწორედ ამ შეხვედრისთვის შემოინახა ფიზიკური და მორალური ენერგიის მთელი მარაგი და მეტოქეს გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა ყველაზე პასუხსაგებ მომენტში — 70:53. ლაპარაკი ჩემპიონის შერყეულ პოზიციებზე დროებით გადიდო.

ლენინგრადის „სპარტაკმა“, რომელიც ერთ-ერთი საპრიზო ადგილის რეალურ პრეტენდენტად ითვლება, კაუნასში ორი მარცხი იწვნია, ერთი, მოსკოვის ოლქის თანაკლუბელებთან, შეაძლოა დაგეგმილიც იყო, მაგრამ მეორე — ვილნიუსელ კალათბურთელებთან — მოულოდნელი გამოდგა. ნეოსპირელთა მდგომარეობა გაუარესდა. ისინი ალბათ გრძნობდნენ კიდეც ზურგს უკან „კიბირკშტისის“ სუნთქვას და მეტოქისთვის დაწევის შანსები რომ მოესპოთ, ბოლო ორი შეხვედრა გაასკეცებული მონდომებით ჩაატარეს. პირველი ბრძოლა „სპარტაკს“ არ გასჭირვებია: კაუნასის „პოლიტექნიკა“ ორივე ბეჭით გააკრა ხალიჩას (77:50), მეორე შეხვედრაში კი მას „ურალმაშის“ ძლევა-ზოსილი მარშის შეჩერება მოუხდა. ბრძოლა უაღრესად მძაფრი იყო, უპირატესობა — ერთობ უმნიშვნელო (52:49), მაგრამ სწორედ ამიტომ გამარჯვების სიხარულიც ერთიორად ძლიერი აღმოჩნდა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა მდგომარეობა უკვე სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. საქმე ისაა, რომ თბილისელებმა ადრე აღებულ ორ ქულას კაუნასში მხოლოდ ერთი დაუმატეს და სატურნირო ცხრილში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე გადაინაცვლეს. სპი-ს გარდა, 3-3 ქულა „სერპ ი მოლოტსა“ და „პოლიტექნიკასაც“ აქვთ, ამიტომ თბილისელებს მეორე წრის მატჩებში მთავარი ურთიერთობა სწორედ მ.-თთან ექნებათ გასარკვევი.

სპი-მ ბოლოწინა ტურში დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაუთმო ქულა ვილნიუსის „კიბირკშტისს“ — 49:54. როგორც ჩანს, ამ შეხვედრამ გუნდს მთელი ენერგია წაართვა, ვინაიდან ბოლო დღეს მოსკოვის „დინამოსთვის“ მას ფაქტიურად წინააღმდეგობა არ გაუწევია — 46:65.

ბოლო ორი ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია:

„ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი) 74:68, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „უნივერსიტეტი“ (ტარტუ) 69:62, „დინამო“ (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 54:49, „დინამო“ (კიევი) — „უნივერსიტეტი“ 56:50, „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) — „სერპ ი მოლოტი“ 65:61, „ბურევესტნიკი“ — „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) — 45:43.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 მარტისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ტტტ (რიგა)	11	9	2	721—658	9
„სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი)	11	9	2	683—621	9
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	11	8	3	688—617	8
„კიბირკშტისი“ (ვილნიუსი)	11	7	4	627—588	7
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	11	7	4	714—657	7
„დინამო“ (მოსკოვი)	11	6	5	650—639	6
„ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)	11	5	6	634—646	5
„დინამო“ (კიევი)	11	4	7	637—683	4
„პოლიტექნიკა“ (კაუნასი)	11	3	8	606—672	3
სპი (თბილისი)	11	3	8	620—697	3
„სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი)	11	3	8	740—750	3
„უნივერსიტეტი“ (ტარტუ)	11	1	10	569—676	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

1970 ფეხბურთი

ქალაქი. ბოლქვი. ეკონომიკა

21 მარტს შედგა სსრ კავშირის ჩემპიონატის II ტურის მატჩები. კალენდრით უნდა ჩატარებულიყო 7 თამაში, შედგა კი 6, ვინაიდან მოსკოვის დინამოელები უცხოეთში იყვნენ.

გათამაშების სტარტზე უჭირს ჩემპიონს — მოსკოვის „სპარტაკს“: ქუთაისში დაკარგულ ქულას მოპყვა მეორე დანაკარგი ერევანში. შეხვედრების შემდეგ, მე-60 წუთზე დაწინაურდა „არარატი“ (გოლი გაიტანა კოვალენკომ) და სპარტაკელებმა (ხილაგაძე) მხოლოდ მე-80 წუთზე შეძლეს წონასწორობის აღდგენა — 1:1.

კიდევ უფრო უარესადაა მოსკოვის „ტორპედოს“ საქმე. ტორპედოელებმა სოჭში ითამაშეს „ზარიასთან“ და მეორე მარცხი იწვნიეს — 0:2. „ზარიას“ გაბარჯვება მოუტანა ლიასკოვსკისა და ლევჩენკოს გატანილმა ბურთებმა.

„ფახთაქორმა“ შინ ფრედ დაამთავრა შეხვედრა „შახტიორთან“ — 1:1. მატჩის მსვლელობაში წინ იყვნენ სტუმრები (კაზინკევიჩი), მაგრამ ვარიუხინმა შეძლო საპასუხო გოლის გატანა.

დაბოლოს, მატჩი ორჯონიკიძეში, სადაც ადგილობრივი „სპარტაკი“ ეთამაშა „ზენიტს“, 2:2. ლენინგრადელთაგან ორივე გოლის ავტორია უნანოვი, მასპინძელთაგან — ბიჭიკაევი და კაიშაური. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს 4 გოლი გატანილ იქნა 7 წუთის მანძილზე.

წინა ტურისგან განსხვავებით მასპინძელ გუნდებს გაცილებით ნაკლები წარმატება ხვდათ წილად: შინ მხოლოდ თბილისის „დინამომ“ გაიმარჯვა, ქუთაისისა და მოსკოვის ტორპედოელებმა (ეს უკანასკნელნი მასპინძელთა როლში იყვნენ სოჭში) მარცხი განიცადეს, დანარჩენი 3 შეხვედრა კი ფრედ დამთავრდა. ესე იგი, მასპინძლებმა აიღეს სულ 5 ქულა, სტუმრებმა კი — 7.

ექვს მატჩში გატანილია 14 ბურთი. უგოლოდ არ დამთავრებულა არც ერთი შეხვედრა.

სსრ კავშირის პირველობა



ორი ტაიმი — ორი პოლუსი

საკმაოდ გაურკვეველი გრძნობით ეტყვებოდით 21 მარტს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონს. გათამაშების ცხრილში კი ჩავიწერეთ მოგება სსრ კავშირის ექს და ვიცე-ჩემპიონთან — კიევის „დინამოსთან“, მაგრამ ეს ორეული — 2:1 — ვერ იყო გამოყვანილი მთლად დამაჯერებელი, მტკიცე. ლამაზი კალიგრაფიით. ნაწერს ხელის კანკალი ეტყობოდა. კანკალი ეტყობოდა თბილისელთა თამაშსაც.

თითქოს პარადოქსია: უსაყვედურო ფეხბურთელებს, რომლებმაც ასეთი მძიმე მატჩი გადაიტანეს და 2 ქულა მოიპოვეს. რას ერჩით გამარჯვებულს — მას ხომ არ ასამართლებენ?

მაგრამ ვინა თქვა, რომ გამარჯვებულს არასოდეს ასამართლებენ? ის პრეტენზიები, რომლებიც ამ მატჩის, უკეთ, მისი მეორე ნახევრის მიხედვით გაუჩნდათ გულშემატკივრებს დინამოელთა მიმართ, საკმაოდ სამართლიანია. მით უმეტეს, რომ გუნდის ხელმძღვანელობამაც სწორად შეფასა თავისი ფეხბურთელთა თამაში: მხოლოდ ხურცილავას, ხინჩიკაშვილს, კუტივაძეს, მეტრეველს, გ. და ლ. ნოდიებს დაუწერა შეფასება „3“, დანარჩენები კი „ოროსნები“ გამოვიდნენ (ილიადი შეუფასებელი დარჩა).

არიან თუ არა ჩვენი ფეხბურთელები ასეთი მკაცრი განაჩენის ღირსი? მოუგო კიევის „დინამოს“, განა ასე იოლია?

კიეველებს, 1966 წლიდან მოყოლებული, საბჭოთა ფეხბურთში აბსოლუტური მონოპოლია ეკუთვნოდათ სამი წლის მანძილზე. პირველობას ისინი იგებდნენ ისე, რომ, ფაქტიურად, არცა ჰყოლიათ კონკურენტი — 5-9 ქულის განსხვავებით. ამ გუნდმა დაამკვიდრა ახალი, თანამედროვე, პროგრესული ფეხბურთი, გაბედულად თქვა უარი ცნობილ ოსტატებზე, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ ამ ახალ სტილს და თავისი რიგები გადაახალისა ისე, რომ შექმნა, ასე ვთქვათ, „წლების მარაგი“ ახალგაზრდა ფეხბურთელთა სახით.

სამი წლის ბატონობა ცოტა არაა. მაგრამ შარშან კიეველთა თამაშს რაღაც ბზარი გაუჩნდა. გაიხსენეთ მათი შარშანდელი შეხვედრები „სპარტაკთან“, ცსკა-სთან და სხვებთანაც. ამ მატჩებში კიეველები ძველებურად თამაშით აღარ გამოირჩეოდნენ. ისინი ახლაც ვაჟკაცურად იბრძოდნენ, თავს იკლავდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, მეტისმეტად ცდილობდნენ, ამას კი მოსდევდა ნერვიულობა, უხეშობა, ხშირად — უსისტემობაც.

ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ უფროსმა მწვრთნელმა ვ. მასლოვმა წლეულსაც გაცხრილა თავისი კოლექტივი და მოთამამეთა საკმაოდ დიდ ჯგუფს მისცა ხვრა გუნდებში გადასვლის საშუალება. ჯერ ძნელი სათქმელია, თუ რა შედეგს მოუტანს კიეველებს ეს ახალი გადაადგილებანი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მათ I ტურში ძლივს მოუგეს უმაღლესი ლიგის დებიუტანტს — ორჯონიკიძის „სპარტაკს“ (1:0) და ასეთი მოკრძალებული აქტივით ჩამოკიდნენ თბილისში.

ეს გრძელი ეპისტოლე იმიტომ წავუმძღვარეთ თბილისისა და კიევის დინამოელთა კალენდარული მატჩის სარეკენზიო წერილს, რომ თბილისელებს მეტი სითამამითა და გაბედულებით, უფრო სოლიდურად უნდა ეთამაშათ ექს-ჩემპიონის წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ მე-10 წუთისთვის მათ ისეთი დიდი ფორა მიიღეს ანგარიშში, როგორიცაა 2 უპასუხო ბურთი.

თქვენ გახსოვთ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი. მე-3 წუთზე კიეველები დაჯარიმდნენ ასათიანთან ბრძოლაში. საშიში თითქოს არაფერი იყო, ვინაიდან სასჯელის წერტილი კარს დაახლოებით 30 მეტრით იყო დაცილებული, მაგრამ კუტივაძემ ისეთი ხელოვნებით, გამოზომილად, ზუსტად, ლამაზად დაარტყა, რომ შეიძლება მხოლოდ ინანო, რატომ არ ჰქონდათ ფეხბურთზე სასწავლო ფილმის ბადამღებთ შესაბამის ადგილებზე განლაგებული აპარატები. გოლი შესანიშნავი გამოდგა.

მოულოდნელი იყო ეს გოლი? რა თქმა უნდა, არა. და როცა მე-9 წუთზე მეტრეველის ტაქტიკური მანევრის შემდეგ მარჯვენა ფლანგზე ბურთის გათამაშების საუკეთესო შესაძლებლობა შეექმნათ ასათიანს, კუტივაძესა და გ. ნოდიას, კომბინაცია შესრულდა ტემპში, შეუცდომლად და დამთავრდა ნოდიას მკეთრი, სწრაფი დარტყმით — 2:0.

10 წუთში 2 გოლი! ეს დაანვეს ვისაც გნებავთ, მაგრამ დაანვეს იმ შემთხვევაში, თუ ასე დაწინაურებული გუნდი შემდეგშიც ყველაფერს გააკეთებს წარმატების გასამტკიცებლად და დარჩენილ 80 წუთს გამოიყენებს არა პასიური, პანიკური თავდაცვისთვის, არამედ გაშლის და განავითარებს იერიშებს, თვით თამაშის მსვლელობით დააჯერებს მეტოქეს, რომ მას ხსნა აღარ ელის, რომ საქმე უკვე მოთავებულია.

მოხდა კი პირიქით. თბილისელთა დაცვაში პანიკამ სტუმრების პირველივე კონტრშეტევებისას იჩინა თავი. ხურცილავა პერსონალურად სდარაჯობდა ბიშოვეცს, კიეკელთა სხვა ფორვარდები კი სულ იოლად პოულობდნენ თავისუფალი მოქმედების საშუალებას, პოულობდნენ დაუცველ ადგილებს და ყოველ თავიანთ იერიშს სახიფათო მომენტით ამთავრებდნენ. პირველი ტაიმი თბილისელებმა ასე თუ ისე კარგად დაამთავრეს, ფორვარდები საკმარისად მოძრაობდნენ, ნახევარდაცვა მათ დამაკმაყოფილებად ეხმარებოდა, დაცვაც, თუმცა გაჭირვებით, მაგრამ მაინც აღწევდა თავს ხიფათს.

მაგრამ მეორე ტაიმი პირველის აბსოლუტურ კონტრასტს წარმოადგენდა. თბილისელთა საიერიშო კომბინაციებში დაირღვა მეტრეველ—კუტივაძის წყვილი (ამ უკანასკნელმა ფეხი იტკინა) და გაუქმდა გუნდის ძალიან ძლიერი, ეფექტური დუეტი. დაცვაში ისევ იჩინა თავი ჭელიძის არყოფნამ, ნახევარდაცვის ხაზი, როგორც მებრძოლი რგოლი, თითქმის მთლიანად მოიშალა და კიეველები შუა მინდორზე თამაშობდნენ ისე, როგორც მოეპრიანებოდათ: შეუფერხებლად, წინააღმდეგობის გარეშე. ვინ მოთვლის, ამ პერიოდში რამდენი სახიფათო მომენტი შეიქმნა ჩვენს კართან, რამდენჯერ გადავურჩით აშკარა გოლს... აღნიშვნის ღირსნი არიან მხოლოდ ხინჩიკაშვილი და ურუშაძე, რომელმაც შეძლო პუშაჩის მიერ ორიოდე მეტრიდან დარტყმული ბურთის მოგერიება.

ეტყობა, კიეველები მართლა შორს არიან თავიანთი შარშანწინდელი ნიმუშისგან, თორემ ამ 45 წუთის განმავლობაში კაცილებით მეტს მიაღწევდნენ. მათ მხოლოდ ისღა შეძლეს, რომ ბიშოვეცმა 52-ე წუთზე გაქვითა ერთი გოლი.

ამიტომ იყო, რომ თბილისელ მაყურებელს გულზე მოეშვა, როცა მსაჯმა პ. კაზაკოვმა 90-ე წუთის დასასრულს საფინალო სასტვენი მისცა. მან თბილისის „დინამოს“ გამარჯვება აღნიშნა, თუმცა იმ დროისთვის ჩვენი გუნდის კართან მომენტი მომენტზე იქმნებოდა და ანგარიშიც სულ ბეწვზე ეკიდა.

თავგამოდებული, უშეღავათო ბრძოლა პირველიდან ბოლო წუთამდე, აი, რა არის საჭირო მაშინაც კი, როცა თამაშს იწყებ და სულ მცირე ხანში 2 გოლით უსწრებ მეტოქეს.

ბ. ჟორჟია.

• • •

სურათზე: ერთ-ერთი სახიფათო მომენტი თბილისელთა კართან, რომელიც მშვიდობიანად დამთავრდა. მარცხნიდან — ფ. კანთელაძე, ვ. კაჩარი, ა. პუზაჩი, შ. ხინჩიკაშვილი, რ. ურუშაძე, ვ. სერებრიანიკოვი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

დათმობილი თამაში

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 21 მარტი.

„ტორპედო“ (ქუთაისი)—ასკ (დონის როსტოვი) 0:1 (0:1).

„ტორპედო“: გრძელიშვილი, აბზიანიძე, წვერავა, ჩხაიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ქორიძე (ასიტაშვილი), ანფიმიადი, ვეკუა, ხერხაძე, ქიქავა.

ასკ: კუდასოვი, სეროსტანოვი, გეტმანოვი, მირონოვი, აბრამოვი, ტრემბაჩი, კაზაჩოკი (მოგილნი), ესკოვი, პროსკურინი, ზინჩენკო, ფეტისოვი.

მსაჯი ბ. ბელოზიოროვი (ტაშკენტი).

დუბლიორები — 2:0 „ტორპედოს“ სასარგებლოდ. ორივე ბურთი გაიტანა დელბამ.

მეორე ტურის მატჩი როსტოვის არმიელთა გუნდთან ქუთაისის „ტორპედოს“ გულშემატკივრებისთვის სრული გაწბილება იყო მოსკოვის „სპარტაკთან“ მატჩის შემდეგ, რომელიც ქუთაისელმა ფეხბურთელებმა საუცხოოდ ჩაატარეს, სად იყო მათი მონდომება, ან ენერგია, ტემპი, სისწრაფე?! ერთობ ძნელი ასახსნელია, რატომ მოქმედებდნენ ტორპედოელი მოთამაშეები ასე უფერულად, უნიათოდ, ინერტულად. ვიხსენებ და, ორიოდე გამონაკლისის გარდა, თითქმის ვერ გავიხსენე, როდის შეეძლოთ ტორპედოელებს როსტოველთა კარის აღება. იქნებ იყო ერთი-ორი ასეთი მომენტი... და ეს მთელი მატჩის მანძილზე!

ჩვენი თავდამსხმელები, როგორც წესი, სისტემატურად კარგავდნენ ბურთს, თამაშობდნენ განცალკევებულად, ერთმანეთს მოწყვეტილნი და თუ ვინმე დააპირებდა გადაცემას, ამას ისე უზუსტოდ და დაგვიანებით აკეთებდა, რომ როსტოველები თითქმის ენერგიის დაუხარჯავად ეუფლებოდნენ ბურთს. ნასვარმცველები და მცველები იმდენ შეცდომას უშვებდნენ, რომ მათი აღწერა ზედმეტად მიგვაჩნია.

როსტოველებს ჯერ კიდევ მე-14 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, როცა შერგელაშვილმა და გრძელიშვილმა არაზუსტად გაითამაშეს ბურთი, რომელიც ზინჩენკოსთან მოხვდა. არმიელთა ფორვარდი, უბრალოდ, არ ელოდა ასეთ საჩუქარს და დაიბნა, თორემ კარი აღებული იყო.

გოლი მაინც გავიდა. 30-ე წუთზე ბურთი მიიღო ტრემბაჩმა და ახლო მანძილიდან გაგზავნა კარში.

თამაშში იოტის ოდენა ცვლილება არ მომხდარა შესვენების შემდეგაც. არმიელებს თითქმის არავინ უშლიდა ხელს ისე ემოქმედათ, როგორც სურდათ, მაგრამ, ეტყობა, მათ თამაშის გამწვავება სარისკოდ ჩათვალეს და იმდენი აგორავეს ბურთი შუა მინდორში, სანამ მსაჯმა საფინალო სასტვენი არ მისცა. ქუთაისის „ტორპედო“ თავიდანვე მარცხისთვის განწირული ჩანდა მინდორზე.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

• • •

სურათზე: აი, ასეთი ქაოტური მომენტებით იყო აღსავსე ქუთაისის „ტორპედოსა“ და როსტოვის არმიელთა მატჩი.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

სარეპორტიო ანგარიშით

სტოკჰოლმი, 22 მარტი. აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში გუშინ გაიმართა პირველი წრის ბოლო მატჩი შეჯიბრების აუტსაიდერებს — გდრ-ისა და პოლონეთის გუნდებს მორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

დღეს კი „იუკანსპოფის“ ყინულის მოედანზე დაიწყო მეორე წრის შეხვედრები. თუ პირველი წრის მატჩში ჩეხოსლოვაკიელებს შედარებით გაუჭირდათ პოლონელებთან მოგება, ამჯერად მათი უპირატესობა აშკარა იყო—10:2.

გდრ-ისა და შვეიცის გუნდების მატჩში თითქმის პირველი წრის ანგარიშით გაიმარჯვეს შვედებმა, ოღონდ ამჯერად გერმანელებმა ერთი შაიბით მეტი გაიტანეს. ანგარიშია 6:2 შვედების სასარგებლოდ.

ბოლოს ყინულის მოედანზე გამოვიდნენ სსრ კავშირისა და ფინეთის გუნდები. თუ პირველი წრის შეხვედრაში ფინელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მსოფლიო ჩემპიონებს და მხოლოდ მინიმალური ანგარიშით წააგეს, ამჯერად საბჭოთა ჰოკეისტების უპირატესობა მეტისმეტად აშკარა იყო. უკვე მე-3 წუთზე მალცევმა ანგარიში გახსნა. შემდეგ იაკუშევმა, ვიკულოვმა, მიხაილოვმა და ხარლამოვმა კიდევ 4 შაიბა გაიტანეს.

მეორე პერიოდის დასაწყისშივე პეტროვმა ანგარიში 6:0 გახადა. შემდეგ ფინელთა კარში ზედიზედ 2 შაიბა მოათავსა ფირსოვმა, მერე კი იაკუშევმა და სტარშინოვმა ანგარიში 10:0 გახადეს. შემდეგ ორჯერ მიხაილოვმა და პოლუპანოვმა აიღეს მეტოქის კარი და გუნდები შესვენებაზე წავიდნენ, როცა ელექტროტაბლოზე იყო ციფრები „13“ და „0“.

მესამე პერიოდის მე-4 წუთზე ეკონენმა შეძლო ერთი შაიბის გაქვითვა. რასაც მოჰყვა ხარლამოვის, მალცევისა და კვლავ ხარლამოვის შაიბები. ანგარიშით 16:1 გაიმარჯვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა. ეს შედეგი სარეკორდოა ამ შეჯიბრებისთვის.

23 მარტს ჩემპიონატის მონაწილენი ისვენებენ, ხოლო 24 მარტს გაიმართება მორიგი შეხვედრები. დიდ ინტერესს იწვევს ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცის გუნდების შეხვედრა (ამ მატჩის ტელეტრანსლაცია დაიწყება თბილისის დროით 22 საათსა და 30 წუთზე, მანამდე კი — 19 საათზე შეგიძლიათ ნახოთ გდრ-ისა და სსრ კავშირის გუნდების მატჩი. — რედ.).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 მარტისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	6	5	0	1	42—6	10
შვეიცია	6	5	0	1	33—12	10
ჩეხოსლოვაკია	6	4	0	2	34—15	8
ფინეთი	6	3	0	3	16—29	6
გდრ	6	0	1	5	7—31	1
პოლონეთი	6	0	1	5	8—45	1

ჭადრაკი

ლიდერებს გაუჭირდათ

შავი დღე დაადგათ ლიდერებს VII ტურში. ახალგაზრდა მოჭადრაკემ დ. ქობალიამ („განთიადი“) იაროსლავლელ ლ. ბელოკუროვას („ტრუდი“) პოზიციურ ბრძოლაში აჯობა, ხოლო გამსვლელი ჰაიკის დროული წინსვლით ეტლიც მოიგო. ბელოკუროვამ ისდა მოახერხა, რომ პარტია... გადადო.

მინსკელ თ. კოლოვეის („სპარტაკი“) თანაკლუბელმა მ. ვართანიანმა (ერევანი) ენდშპილში თამაში შესთავაზა. შეწირვებმა ჭულები ვერ მომიტანაო,— თქვა ერევნელმა. ეტლების ენდშპილში მას ზედმეტი ჰაიკი აღმოაჩნდა, მაგრამ მოგება მაინც მორს იყო. ამიტომ ვართანიანმა პარტია ზავით დასრულდა.

სენსაციები ამით რიდი ამოიწურა, ტაშკენტელი ვ. ბორისენკო („ლოკომოტივი“) ოსტატურად უტევდა თბილისელ მ. გეგეჭკორს („განთიადი“), მაგრამ საკონტროლო ხელა ისე არ ვაკეთა, როგორც ფიქრობდა, და პარტია წასაგებ მდგომარეობაში გადადო.

მეწინააღმდეგეს მხოლოდ ესტონელმა მ. სამუმმა („იიუდი“) გაიმარჯვა ნ. გიორგაძესთან („განთიადი“) და ?,5 ქულით საკავშირო პროფსაბჭოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის თბილისის ნახევარფინალში ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

ლიდერთა ჯგუფის სხვა წევრებს ასეთი მდგომარეობა აქვთ: ბელოკუროვა — 4,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, გოლოვეი — 4,5 (1), თ. ხუკაშვილი — 4,5, ნ. ჩიქობავა — 4.

კარგ მთამაგეგდილებას ტოვებს ახალგაზრდა ინჟინრის ნ. ჩიქობავას თამაში. მან მძაფრ ჭიდილში დაჯახნა საერთაშორისო ოსტატი ბორისენკო, მოფლიოს ეკს-ჩემპიონ ო. რუბცოვასთანაც უშედეგათო ბრძოლა ჰქონდა, მაგრამ პარტია ზავით დასრულდა.

ტურნირი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა — იწყება შეჯიბრების მეორე ნახევარი. ბრძოლის განახლების წინ მოჭადრაკეებს დასვენების დღე ჰქონდათ. ისინი იყვნენ მცხეთაში, გაეცნენ ჯვრის მონასტერს, სვეტიცხოველს, ესტუმრნენ „ყვავილების დიდოსტატს“ მ. მამულაშვილს.

თ. ბიორგაძე.

ნახევარფინალის მთავარი მსაჯი.

5 სპგზურის 8 პრეტენდენტი

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გრძელდება დედაქალაქის მოჭადრაკე ქალთა ტრადიციული ჩემპიონატი. გათამაშდა კიდევ 3 ტური. გუნდაზობთ მათს შედეგებს:

IV ტური. მ სანაძე — მ. დათაშვილი 1:0, თ. კაჭარავა — ს. ივანოვა 0,5:0,5, ნ. ბაღაშვილი — ლ. დაღანიძე 0,5:0,5, ლ. ჯოროშინაძე — ა. შულმანი 1:0, ი. გედენიძე — ნ. ხუბულური 0:1, ს. ცერცვაძე — ლ. კოტრიკაძე 1:0, მ. თევზაძე — მ. ვაჩეიშვილი 0,5:0,5, ნ. უზნაძე — თ. კვლიაშვილი 0:1, ლ. ხოლოტუხინა — ზ. შენგელია 1:0, ა. მდივანი — ლ. სვანიძე 0:1, მ. გავრილიუკი — ნ. კიკვაძე 0:1.

V ტური. კაჭარავა — სანაძე 1:0, ჯოროშინაძე — დაღანიძე 1:0, დათაშვილი — ხუბულური 0,5:0,5, ბაღაშვილი — ცერცვაძე 0,5:0,5, თევზაძე — გედენიძე 0,5:0,5, უზნაძე — სვანიძე 1:0, კოტრიკაძე — გავრილიუკი 0,5:0,5, ხოლოტუხინა — შულმანი 0:1, მდივანი — შენგელია 0:1, კიკვაძე — ვაჩეიშვილი 0:1, ივანოვა — გელიაშვილი 1:0.

დამთავრდა სანაძე — ივანოვას ჰარტიაც, რომელიც III ტურში გადაიდო. გაიმარჯვა სანაძემ.

VI ტური. სანაძე — ჯოროშინაძე 0:1, კაჭარავა — ცერცვაძე 1:0, ბაღაშვილი — ხუბულური 0:1, დათაშვილი — ვაჩეიშვილი 1:0, შულმანი — იკანოვა 0,5:0,5, თევზაძე — დაღანიძე 1:0, შენგელია — გელიაშვილი 1:0, კიკვაძე — ხოლოტუხინა 1:0, გავრილიუკი — სვანიძე 1:0, გედენიძე — უზნაძე 1:0, მდივანი — კოტრიკაძე 0:1.

განვლილი შეხვედრებიდან აღსანიშნავია ლიდერთა პაექრობა. გამოცდილმა მოჭადრაკემ სანაძემ პირველი მარცხი აგება თბილისის მოსწავლეთა ჩემპიონს დათაშვილს, მაგრამ შემდეგ ტურებში თავად მოექცა განსაცდელში. კაჭარავამ სანაძესთან მძაფრი ბრძოლა გააჩაღა და საგრძნობი უპირატესობაც მოიპოვა. მეორე დღეს სანაძემ პარტია ვერ გადაარჩინა. იგივე გამეორდა ჯოროშინაძესთან შეხვედრაშიც.

დათაშვილთან კარგად აწყობილი ბრძოლის წაგებამ თითქოს ძალა შემატა ჯოროშინაძეს. მან ზედიზედ სამი სერიოზული მეტოქე დაამარცხა და ლიდერთა ჯგუფშიც გავიდა.

ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში მივიდა და დარჩენილ ორ ტურში თითოეულ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ექნება.

6 ტურის შემდეგ თბილისის ჩემპიონობაზე და საქართველოს პირველობის ხუთ საგზურზე თვალი უჭირავთ ლ. ჯოროშინაძეს, თ. კაჭარავას (5-5 ქულა), მ. სანაძეს, ს. ივანოვას, მ. დათაშვილს, ნ. ხუბულურს (4-4), ი. გედენიძესა და ა. შულმანს (3,5-3,5).

თ. ნინოშვილი.

შაში

დედაქალაქის პირველობაზე

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, ტარდება დედაქალაქის ვაჟთა პირველობა რუსულ შაშში. ტურნირში 15 კაცი მონაწილეობს. პირველ ხუთ ადგილზე გასულნი ბრძოლას განაგრძობენ საქართველოს პირველობაში, რომელიც სექტემბერში (ფოთი) ჩატარდება.

4 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ნ. მამაკოვი — 3,5 ქულა, გ. ამირხანოვი, გ. ბერეაშვილი—2,5-2,5, ს. თომაშვილი და ჰ. კუჩიროვი — 2-2.

ს. პახლაჯიანი,

პირველობის მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი.

„ტყავის ბურთი-70“

იწყება „ტყავის ბურთის“ ტრადიციული გათამაშებანორჩ ფეხბურთელთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ბავშვები, რომლებიც გიერთიანებულნი არიან ერთ სახლმმართველობაში, ეზოში, სოფელში ან დაბაში. გათამაშება ჩატარდება ორ ასაკობრივ კატეგორიად. უფროსთა ჯგუფს შეადგენენ 1956-57 წლებში დაბადებულნი, ხოლო უმცროსთა ჯგუფს — 1958-59 წლებში დაბადებულნი. ამას გარდა, „ტყავის ბურთის“ რესპუბლიკური შტაბი რეკომენდაციას უწევს ადგილობრივ კლუბებს, რათა მოაწყონ შეჯიბრებები 9-10 წლის ბავშვებისთვისაც.

შეჯიბრებაში დაიშვებიან ის გუნდები, რომლებიც მონაწილეობენ სპორტული მოედნების მშენებლობასა და კეთილმოწყობაში, ატარებენ საშეფო მუშაობას ოქტომბრელებთან და უმცროსი ასაკის პიონერებთან.

„ტყავის ბურთის“ გათამაშება 25 მარტს იწყება. პირველ ეტაპზე გათამაშდება რესპუბლიკის რაიონების პირველობა, შემდეგ, მეორე ეტაპზე (15 ივნისიდან) ჩატარდება აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისისა და ზონების შეჯიბრებები. დასასრულ, გაიმართება ფინალური ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისისა და ზონებში გამარჯვებული თითო გუნდი.

რესპუბლიკაში შექმნილია შემდეგი ზონები:

ადიგენის ზონა, რომელშიც გამოდიან ასპინძის, ადიგენის, ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონები;

ლაგოდეხის ზონა — ახმეტის, გურჯაანის, საგარეჯოს, სიღნაღის, ლაგოდეხის, თელავის, წითელი წყაროს და ყვარლის რაიონები;

ბარდაბნის ზონა — წალკის, დმანისის, თეთრი წყაროს, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის რაიონებისა და ქ. რუსთავის გუნდები;

ხაშურის ზონა — ბორჯომის, ქარელის, გორის, დუშეთის, კასპის, მცხეთის, ხაშურის რაიონებისა და ქ. გორის გუნდები;

ტყიბულის ზონა — ამბროლაურის, ონის, ცაგერის, თერჯოლის, ტყიბულის, ორჯონიკიძის, საჩხერის, წულუკიძისა და წყალტუბოს რაიონების გუნდები;

ბებეჭკორის ზონა — ზუგდიდის, ხობის, აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის რაიონებისა და ქ. ფოთის გუნდები;

ზესტაფონის ზონა — ზესტაფონის, სამტრედიის, ჩოხატაურის, მახარაძის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, ვანის რაიონებისა და ქ. ჭიათურის გუნდები.

სხვა რაიონებში გამარჯვებულ კოლექტივებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მათთვის ტერიტორიულად ახლომდებარე ზონაში.

პირველ და მეორე ეტაპებზე შეჯიბრება ტარდება გამოთიშვითი სისტემით, ხოლო ფინალურ ეტაპზე გუნდები დაიყოფიან ოთხ ქვეჯგუფად. აქ გამარჯვებული კოლექტივები ერთმანეთს შორის წრიული სისტემით გაითამაშებენ I-IV ადგილებს.

ფინალურ ტურნირში გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდებიან გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ დაწესებული ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მცირე მედლებით, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელებით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დიპლომებით. ორივე ასაკობრივ კატეგორიაში I ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ტელევიზიის სპორტულ redაცია-თა რედაქციის გარდამავალი თასებით.

ᲥᲮᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲗᲘ

● **თეირანი, 21 მარტს.** „მეგობრობის თასის“ გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა-სა და ირანის „ჰეიკანის“ ფეხბურთელთა გუნდები. მასპინძლებმა ძალიან დიდი მონდომებით ითამაშეს და გამარჯვებასაც მიაღწიეს — 2:1. ამრიგად, მოსკოვის გუნდი II ადგილზე დარჩა. III ადგილისთვის მატჩში რუმინეთის გუნდმა სძლია თურქებს — 2:1.

● **პერვოურალსკი, 22 მარტი.** მოთხილამურეთა საკავშირო ჩემპიონატში ქალებმა მედლები 4×5 კილომეტრზე ესტაფეტაში გაითამაშეს. ყველას აჯობა „ტრუდის“ კვარტეტმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სამი მსოფლიო ჩემპიონი — გ. კულაკოვა, ნ. ფიოდოროვა და ა. ოლიუნინა, ა.გრეთვე, ლ. მუხაროვა. გამარჯვებულთა შედეგია 1.14.27. II ადგილზეა შუიარაღებულ ძალთა გუნდი — 1.15.17, III — „ლოკომოტივი“ — 1.15.59.

● **კიროვო-ჩეპეცკი, 22 მარტი.** აქ გაიმართა ბიატლონისტთა საკავშირო პირველობა. ყველას აჯობა მსოფლიო ჩემპიონმა ა. ტიხონოვმა („დინამო“) — 1:26.08 (3 საჯარიმო წუთი). ვერცხლი ხვდა ა. უშაკოვს („ზენიტი“) — 1:30.34 (3), ბრინჯაო — ლ. ისაკოვს („ტრუდი“) — 1:31.19 (3). იუნიორები 15 კილომეტრზე დარბოდნენ. უძლიერესი აღმოჩნდა გ. ბურანოვი („ზენიტი“) — 1:10.44 (2).

● **ლენინგრადი, 22 მარტი.** აქ დაიწყო საკავშირო ჩემპიონატი ორჭიდში. ტრამპლინიდან სტომის შემდეგ დაწინაურდა სარატოველი ი. პავლოვი, რომელსაც 212 ქულა აქვს. II ადგილზეა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ი. კოზულინი (კიროვი) — 210 ქულა, III — ვ. რუსინოვი (პერმი), IV — მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორი ნ. ნოგოვიცინი (პერმი).

● **ბუდაპეშტი, 22 მარტი.** ადგილობრივი „ჰონვედის“ ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა ევროპის ჭეშეენების ჩემპიონთა თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში ანგარიშით 20:18 დაამარცხა ბუქარესტის „ზეზდა“, მაგრამ ნახევარფინალში რუმინელები გავიდნენ, რომლებმაც პირველი თამაში შინ უკეთესი სხვაობით მოიგეს (26:20).

● **პრაღა, 22 მარტი.** მსოფლიო პირველობაზე მეორე ევროპული საზონათშორისო ტურნირის ორი საგზურისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში დამაჯერებლად ლიდერობს უნგრელი მოჭადრაკე ლ. პორტიში — 3,5 ქულა. მას ქულით ჩამორჩებიან ბ. ივკოვი (იუგოსლავია) და ი. სმეკალი (ჩეხოსლოვაკია).

ᲝᲠᲘ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

35 ქვეყნის 80 საფეხბურთო მომომზადებელმა მიიღო მონაწილეობა ინგლისური ჟურნალის „უორლდ სპორტსის“ გამოკითხვაში — შეადგინეთ მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები ფეხბურთის ფარსკვლავთაგან, რომლებიც 1950-1970 წლებში ეროვნულ გუნდებში თამაშობდნენ.

ყველაზე მეტი ხმა (76) მიიღო ბრაზილიელმა პელემ კარში „ჩადვა“ ლ. იაშინი — 69 ხმა. ამათ გარდა, 11 კაცში მოხვდნენ ბრაზილიელი ჯ. სანტოსი, ინგლისელები ბ. რაიტი, ს. მეტიუზი, ბ. ჩარლტონი, არგენტინელი ა. დი სტეფანო და სხვ.

საერთო სიაში, რომელშიც სულ 44 ფეხბურთელი აღმოჩნდა, კიდევ ერთი საბჭოთა სპორტსმენია — ვ. ვორონინი (10 ხმა).

თბილისიდან ბერლინამდე— ველოსიპედებით

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 49-ე წლისთავს და რესპუბლიკის კომკავშირის 28-ე ყრილობას მიეძღვნა თბილისის მ. თოიძის სახელობის მე-11 სამხატვრო-პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა ველოლაშქრობა მარშრუტით თბილისი — ბაკო.

აღსანიშნავია, რომ რუსთაველის მე-16 პროფტექნიკური სასწავლებლის ველოსიპედისტებმა მოლაშქრენი აზერბაიჯან — საქართველოს საზღვრამდე მიაცილეს, წარმატება უსურვეს და შემდეგ უკან დაბრუნდნენ.

ლაშქრობის მონაწილენი (ხელმძღვანელი კ. გირგიდოვი) 10 დღეს მოგზაურობდნენ. რთული მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, მათ წარმატებით გადალახეს სიმნელეები და დანიშნულების ადგილზე ჩავიდნენ.

სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოეწყვეს ბაკოში, დაათვალიერებინეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები და შემდეგ მეგობრულად გამოისტუმრეს.

ველოტურისტებს გადაწყვეტილი აქვთ ამ ზაფხულს მოაწყონ ლაშქრობა: თბილისი — ბერლინი.

ტ. ვამპარაძე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04201